ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №32

19 თებერვალი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

მოწვეული სტუმრები:
1. ნინო ვარდოსანიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;
2. კობა კობალაძე – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი;
3. ნინო ბუცხრიკიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ოთარ კიკილაშვილი – ინიციატორი;
5. სალომე კბილაშვილი – ინიციატორი; ლევან კბილაშვილის და;
6. გიორგი შკინინი – საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი;
7. დავით ქორიძე – მიხეილ ქორიძის ძმა;
8. მირზა მოდებაძე – მომღერალი;
9. გიორგი ცხვარიაშვილი – მომღერალი;
10. ოთო ნემსაძე – მომღერალი;
11. ანდრია გველესიანი – მომღერალი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილები: №19/032403222-03, 19/032403219-03; 01.02.2024)** მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.
მომხსენებელი: ოთარ კიკილაშვილი

2. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილები: №19/0324040134-03,19/0324040140-03; 09.02.2024)** ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.
მომხსენებელი: სალომე კბილაშვილი

3. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(წერილი:12-032404613-03; 15.12.2023).**
მომხსენებელი: მაია გრძელიძე
თანამდებობა: მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი

4. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული

სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(წერილი:12-032404789-03; 16.02.2024).**

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

5. საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **(წერილი:12-032404793-03; 16.02.2024).**

მომხსენებელი: ნინო ბუცხრიკიძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, (სხდომაზე დამსწრეთაგან) ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, 1992 წლის 30 აგვისტოს გაგრაში, ბზიფის ხეობაში, სოფელ კოლხიდასთან შეტევის დროს, სნაიპერის ტყვიით დაიღუპა მიხეილ ქორიძე. მიხეილი 1991 წლიდანვე მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში. იყო გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმის წევრი. 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთის ომის დაწყებისას 21 წელი შეუსრულდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი 27 აგვისტოს წავიდა ომში და სამ დღეში, პირველსავე ბრძოლაში დაიღუპა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, მიხეილ გიორგის ძე ქორიძე დაიბადა 1971 წლის 14 აგვისტოს, თბილისში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის 58-ე საშუალო

სკოლა. ბავშვობიდან თამაშობდა კალათბურთს. ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაიტაცა რაგბიმ და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თამაშობდა გუნდ „ყოჩებში". მოხალისედ იბრძოდა გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმში. „ხულიგანად" იცნობდა მთელი თბილისი. 1993 წელს საზოგადოება „ხულიგანა" შეიქმნა, 1996 წელს კი დაარსდა ნორჩ მორაგბეთა კლუბი, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვებს წვრთნიან. ყოველწლიურად ნორჩ მორაგბეთა შორის „ხულიგანას" სახელობის ტურნირი ტარდება. დაჯილდოებულია მედლით მხედრული მამაცობისთვის.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს, გენერალ კობა კობალაძეს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ყველას წარმოდგენილი ინიციატივისთვის. მისი განცხადებით, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ხელოვნურად შექმნილი ბარიერები გამოჩნდა. მაშინ თავდაცვის მიმართულებით არ იყო ისეთი ინსტიტუციები, რომელიც ქვენის უსაფრთხოებას უზრუნველჰყოფდა. ქვეყნის ძერწვა მოუწიათ შემართებულ ახალგაზრდებს, რომელთა შორისაც იყო მიხეილ ქორიძეც. იმდროინდელი კონფლიქტები გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოყალიბებულმა კონფედერანტების ერთობამ, რომლებმაც თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს სოხუმი. პირველი ზღუდე, რომელსაც მოუწია მათთან შეჯახება, იყვნენ ახალგაზრდები, რომელთა რიგებში მიხეილ ქორიძეც იბრძოდა. ჩვენ თუ დავივიწყეთ რა საძირკველზე ვდგავართ, დავემსგავსებით მათ, რომლითაც არ იციან საიდან მოვიდნენ და სად მიდიან.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ოთარ კიკილაშვილმა, დავით ქორიძემ, გიორგი შკინინმა, ზურაბ ჩიკვილაძემ.

ოთარ კიკილაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს საკითხზე მსჯელობისთვის. მისი განცხადებით მიხეილ ქორიძე (მიშიკო) 32 წლის წინ 1992 წლის 30 აგვისტოს გმირულად დაიღუპა აფხაზეთში და სექტემბრის თვეშივე გამოქვეყნდა სტატია შემდეგი შინაარსით, რომ როდენის ქუჩას მინიჭებოდა მისი სახელი. ოთარ კიკილაშვილმა გამოხატა სურვილი მემორიალური დაფის განთავსებასთან ერთად ქუჩისთვის მიხეილ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ.

დავით ქორიძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს და განაცხადა, რომ ადამიანი ფასდება იმით, თუ რა აქვს საზოგადოებისთვის გაკეთებული, მაგრამ იგი უფრო მეტადაა დაფასებული თუ მისი გარდაცვალების შემდეგ მისი დაწყებული საქმე გრძელდება.

გიორგი შკინინის განცხადებით, მიხეილ ქორიძის გარდაცვალების შემდეგ დაარსდა ნორჩ მორაგბეთა კლუბი, რომელსაც დღემდე არაერთი წარმატება აქვს მოპოვებული. მიხეილ ქორიძემ დატოვა რაგბის კლუბი, სადაც ახალგაზრდები იზრდებიან იმ ფასეულობებით, რომ სამშობლო, მეგობარი და ოჯახი არის უმთავრესი ღირებულება, რომლის დაცვაც ჩვენი ვალდებულებაა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მისთვის პატივია მსგავსი გადაწყვეტილებების პროცესში მონაწილეობის მიღება. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მიხეილ ქორიძის მსგავსი ახალგაზრდები და უნდა უკვდავყოთ მათი სახელები მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებით.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, ქართული ხალხური ფოლკლორისა და საესტრადო მუსიკის შემსრულებლის, ცნობილ მომღერლის ლევან კბილაშვილის საესტრადო კარიერა 6 წლიდან, რობერტ

ბარძიმაშვილის სტუდიაში დაიწყო. ლევან კბილაშვილი 2011-2012 წლებში მონაწილეობდა კონკურსში „ჯეოსტარი“, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. 2018 წელს მონაწილეობა მიიღო პროექტ „Voice"-ში და დიდი აღიარება მოიპოვა. მუშაობდა მსოფლიოში ცნობილ რეჟისორებთან ემირ კუსტურიცასთან და გორან ბრეგოვიჩთან, რომლებთან ერთადაც არაერთი კონცერტი აქვს ჩატარებული. 2021 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა მუსიკალური ჯგუფი „PanGeo – ლ. კბილაშვილი“, რომელიც დაეფუძნა ქართულ ეთნომუსიკას.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა სალომე კბილაშვილს, რომელმაც კომისიის წევრებს მიმართა ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსებით თხოვნით და მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, რომელიც ამ პროცესში იყო ჩართული.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
მირზა მოდებაძემ, გიორგი ცხვარიაშვილმა, ოთო ნემსაძემ, ანდრია გველესიანმა.

მირზა მოდებაძის განცხადებით, ის და ლევან კბილაშვილი ერთად აღიზარდნენ რობერტ ბარძიმაშვილის სტუდიაში. ლევანი იყო დიდი მუსიკოსი და იმსახურებს მის საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

გიორგი ცხვარიაშვილის განცხადებით, ლევან კბილაშვილი დღემდე ახსოვს ყველას მისი განსაკუთრებული სამუსიკო მონაცემებისა და ღირსეული პიროვნული თვისებების გამო.

ოთო ნემსაძის და ანდრია გველესიანის განცხადებით, ლევან კბილაშვილი საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული. მემორიალური დაფის განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის ის მცირედი, რაც შეიძლება გაკეთდეს მისი სახელის უკვდავსაყოფად.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მესამე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსს, მაია გრძელიძეს, რომლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) - 10 000,0 ათასი ლარი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა,

რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 27 991,5 ათასი ლარი;

• საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 4 099,5 ათასი ლარი;

• მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 590,0 ათასი ლარი;

• მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 2 489,1 ათასი ლარი;

• ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 50,0 ათასი ლარი;

• კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 237,6 ათასი ლარი.

მცირდება:

• ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) - 71,1 ათასი ლარი;

• პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 270,0 ათასი ლარი.დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეოთხე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი

გვილავას, რომლის განცხადებით, დადგენილების პროექტით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №74-4 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის" (დანართი 2):

მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტს, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს და მე-6 მუხლის მე-6 პუნქტს „70-ზე მეტი-90 ქულის ჩათვლით" სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%-ით და „ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე" სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%-ით დაფინანსების ნაწილში დაემატება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის" კატეგორია. ვინაიდან, 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უდგინდება კატეგორია „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი", აღნიშნული სტატუსის დამატება შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე სტუდენტების დაფინანსებას;

მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცნობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, დაემატება სტუდენტის სემესტრული გადასახადის და სასწავლო გრანტის ოდენობის თაობაზე ინფორმაციის მითითების ვალდებულება;

მე-4 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატება შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა გაცემული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის კალენდარულ წელს", რაც გამორიცხავს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის მხრიდან დაფინანსების მიღებას.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:
მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №74-4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 10/02/2021; №280080020.35.101.016822) და დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის" (დანართი 2):

ა) მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი – საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის მომენტისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში რეგისტრირებული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არის აქტიური სტატუსის მქონე

სტუდენტი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის ან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ სტატუსი;“;

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის, სემესტრული, წლიური გადასახადის და სასწავლო გრანტის ოდენობის შესახებ;“;

გ) მე-4 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა გაცემული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის კალენდარულ წელს.“;

დ) მე-6 მუხლის:

ა.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქვეპროგრამის ფარგლებში, პირველი სემესტრის სტუდენტები იღებენ სემესტრული თანხის არაუმეტეს 50%-იან დაფინანსებას, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო თუ პირველი სემესტრის სტუდენტს აქვს მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის ან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ სტატუსი, დაფინანსდება სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%-ით, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“;

ა.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსებისათვის თანხა გაიცემა შემდეგნაირად:

წინა სემესტრში მიღებული შეფასებების და აკადემიური ქულების საშუალო არითმეტიკული	დასაფინანსებელი თანხის ოდენობა
90-ზე მეტი - 100 ქულის ჩათვლით	სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 150 000-ის ტოლი ან ნაკლები; • მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის; • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;
70-ზე მეტი- 90 ქულის ჩათვლით	სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 70 000-ს; • მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის; • სტუდენტებისთვის, რომელთაც აქვთ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ სტატუსი; ასევე, სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 70 000-ზე მეტი და 150 000-ის ტოლი ან ნაკლები;

	• მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის; • ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის;
ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე	სემესტრული თანხის არაუმეტეს 50%, ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით: • სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ტოლია ან ნაკლებია 150 000 -ის; • მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის; • ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის; ასევე, სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ სტატუსის მქონე სტუდენტისათვის.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეხუთე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების

წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნინო ბუცხრიკიძეს, რომლის განცხადებით, პროექტის მიღება განპირობებულია არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ იმ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის, რომლის ავტორი გარდაცვლილია, ვერ დგინდება ავტორი (მისი მემკვიდრე) ან/და აღნიშნული ობიექტი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აღდგენა-რესტავრაციის საკითხის ინიციირების უფლებამოსილების განსაზღვრის საჭიროებით.

აღნიშნულის თაობაზე საკითხის ინიციირების უფლება აქვს თბილისის მერს ან თბილისის მთავრობის წევრს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პროექტით იცვლება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილების მე-7 მუხლი, ასევე ემატება 5^1 და 5^2 მუხლები:

- **„მუხლი 5^1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/ რეკონსტრუქცია;**
- **მუხლი 5^2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/ რეკონსტრუქციის განხორციელების წესი;**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/02/2020; სარეგისტრაციო კოდი:450050020.35.101.016690) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის:

ა) მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 და 5^2 მუხლები:

„მუხლი 5^1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/ რესტავრაცია/რეკონსტრუქცია თბილისის მერის გადაწყვეტილებით საგამონაკლისო წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეიძლება განხორციელდეს იმ არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქცია, რომლის ავტორი გარდაცვლილია, ვერ დგინდება ავტორი (მისი მემკვიდრე) ან/და აღნიშნული ობიექტი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამასთან, არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

მუხლი 5^2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/ რეკონსტრუქციის განხორციელების წესი.

1. ამ წესის 5^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის საკითხის ინიციირების უფლება აქვს თბილისის მერს ან თბილისის მთავრობის წევრს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

2. ამ წესის 5[1] მუხლით გათვალისწინებულ საკითხს განიხილავს, ამ მიზნისათვის, თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობას და დებულებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

3. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაცია.

4. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები (მოქანდაკეები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები და სხვა).

5. თბილისის მერი განიხილავს კომისიის რეკომენდაციას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის შესახებ და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს".

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების/აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის საკითხის მიზანშეწონილად ცნობისა და თბილისის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, თბილისის მერი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსებისთვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა ან სამშენებლო სამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შესყიდვის შესახებ".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განათლებისა და კულტურის კომისიას წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1.იმის გათვალისწინებით, რომ პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით, დადგენილება და დადგენილებით დამტკიცებული წესი გარდა განთავსებისა, დაარეგულირებს, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის ღონისძიებებს, მიზანშეწონილია აღნიშნული სიტყვები აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქცია" მიეთითოს როგორც დადგენილების სათაურში, ასევე დადგენილებით დამტკიცებული წესის სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე"

დადგენილებით დამტკიცებული წესის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე".

2. მიზანშეწონილია 52 მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვის ადმინისტრაციის მითითების ნაწილში დაზუსტდეს აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია".

3. მიზანშეწონილია გასწორდეს ხარვეზი მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ჩაემატოს სიტყვების „აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქცია" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის **განთავსების/**

აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობისა და თბილისის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, თბილისის მერი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის **განთავსების/აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის** ან/და მემორიალური დაფის განთავსებისთვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა ან სამშენებლო სამუშაოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შესყიდვის შესახებ".

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შენიშვნების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შენიშვნების გათვალისწინებით გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა